

№ 1

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის**

2020 წელი, 28 იანვარი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ე.გორდელაძე - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ.ჩავლეშვილი, ვ.ბერიძე, გ.კილაძე,
თ.ბურჭულაძე, ბ.დოლიძე, გ.ჩაგანავა, ვ.ჩხაიძე, ვ.ჩიგოგიძე,
დ.ჭაკნელიძე.

დღის წესრიგი

1. კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ე.გორდელაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების შესახებ.

მომხსენებელი: ე.გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოახსენა, კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შედგენისათვის გაწეულ მუშაობაზე, შემდეგ განიხილეს გეგმა კონკრეტულად და მიიღეს გადაწყვეტილება წარმოდგენილი გეგმა დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. მომხსენებელმა დღის წესრიგის მეორე საკითხზე აღნიშნა, რომ გასულ წელს შექმნილი იყო მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) შემმუშავებელი დროებითი კომისია, გამოცხადდა კონკურსი, საკრებულოში უნდა შემოსულიყო სამი ვარიანტი მაინც, რომ კომისიას ემსჯელა და საუკეთესო წარედგინა ჰერალდიკის საბჭოსათვის. შემოვიდა ერთი პროექტი, ამდენად კონკურსი ჩაიშალა. ამჟამად, ჰერალდიკის საბჭოსთან მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება -წარვადგინოთ მუნიციპალიტეტის გაყოფამდე არსებული

სიმბოლოები ან ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები-როგორც გერბი, ასევე დროშა. კომისიის წევრებმა მსჯელობისა და კენჭისყრის შედეგად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს.

2. ჰერალდიკის საბჭოში შეთანხმებლად გადაგზავნილი იქნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა, რომლითაც ამჟამად სარგებლობს მუნიციპალიტეტი.

ეროდი გორდელაძე



კომისიის თავმჯდომარე
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია